

მმართველმა პარტიამ მერობის კანდიდატები დაასახელა



30 ივლისს, პარტია „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომა გაიმართა.

პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევ-

ნო შტაბს პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება კამპანიის ლიდერებს, პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისში საარჩევნო კამპანიის ლიდერი დედაქალაქის მერობის კანდიდატი

კახა კალაძე, ხოლო საქართველოს მასშტაბით კამპანიის ლიდერი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება.

პოლიტსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მერობის კანდიდატებთან დაკავშირებით 63-ე მუნიციპალიტეტში.

მათ შორის გურიის რეგიონში: ავთანდილ თალაკვაძე (ოზურგეთი); ალექსანდრე სარიშვილი (ლანჩხუთი) და დავით შარაშიძე (ჩოხატაური).

სამთავე კანდიდატმა მერობის კანდიდატად დასახელების შემდეგ სოციალურ

ქსელში კომენტარები გააკეთეს:

– „ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია ოზურგეთის მერობისთვის არჩევნებში მონაწილეობა. მალე შევხვდებით და კვლავ გავაერთიანებთ ყველას, ვისაც ჩვენი ქვეყნის, ქალაქის და ულამაზესი სოფლების მომავალი ინტერესებს და მზად არის ამაში თავისი წვლილი შეიტანოს. ამ არჩევნებშიც, ჩვენ გამოვალთ ძლიერი გუნდით და საინტერესო პროგრამით, რომელიც დღეს არსებულ საჭიროებებს საქმით უპასუხებს. ახალი სამუშაო ადგილები, სოციალური დაცვა და ზრუნვა ჩვენს თანამოქალაქეებზე, გარემოს დაცვა, ეკოლოგია და ჯანმრთელობა, ინფრასტრუქტურის განვითარება – სხვა ამოცანებთან ერთად, ეს იქნება ჩვენი პრიორიტეტები ოზურგეთში. თავს მოვალედ ვთვლი, ჩემს მშობლიურ ქალაქს და საზოგადოებას ვემ-

სახურო და ოზურგეთს მადლობა საქმით და წარმატებული პროექტებით უშუალოდ გადავუხადო. ნდობისთვის მადლობას ვუხდით „ქართული ოცნების“ ლიდერებს და ჩვენს მხარდამჭერებს. მჯერა ერთად გავიმარჯვებთ!“ – წერს ავთანდილ თალაკვაძე.

– „ჩემთვის უდიდესი პატივია მმართველი პარტიის მიერ უკვე მეორედ გამოცხადებული ნდობა. ეს ორმაგი პასუხისმგებლობაა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ლანჩხუთელების წინაშე.

მე ვიცი რას ნიშნავს ატარებდე ლანჩხუთის მერის სახელს, როგორი როლი, გამოწვევებით სავსე და სამაგალია ეს საქმე ამავედროულად.

ჩემი მერობის პერიოდში, ჩვენ ღირსეულად გავართვით თავი არაერთ პრობლემას, განვასხორციელოთ სხვადასხვა



ა ღ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამომცემბა. № 24 (10394) 2 აბზისტო, 2021 წ. შახი 60 თეთრი.

კოლონეთის დელეგაცია გურიაში



გურიაში საქმიანი ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკის, ზედა სილეზიის მთავრობისა და მეწარმეთა დელეგაცია იმყოფებოდა.

დღეს გურიაში სახელმწიფო რწმუნებულს გიორგი ურუშაძეს იაკუბ ჩესტოვსკი – სილეზიის რეგიონის მარშალი, იან კაულოკი – სილეზიის საკოეპოლოს რეგიონალური პარლამენტის თავმჯდომარე, ვოიჩეკ კაუნა – სილეზიის საკოეპოლოს ვიცე-მარშალი და სხვა ოფიციალური პირები შეხვდნენ.

ვიზიტის მიზანს საქართველოსთან სამეწარმეო თანამშრომლობის განვითარება, ეკონომიკური აქტივობების დაგეგმვა და აღმოსავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების საუკეთესო

პრაქტიკის გაზიარება წარმოადგენდა.

შეხვედრაზე სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ რეგიონის, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა რაიონის შესახებ სტუმრებს საინვესტიციო პროფილის პრეზენტაცია წარუდგინა.

შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს შემდეგი საკითხები: პანდემიის პირობებში მეწარმეთა ხელშეწყობა; სილეზიის შეთავაზების პაკეტი ინდუსტრიის დარგებისა და ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით; ეკონომიკური აქტივობებისა და რეგიონში უცხოური ინვესტიციების შემოიღების ხელშეწყობა.

მხარეები ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

„ქალაქის ყველა უბნის მოსახლეობა თანაბარ პირობებში უნდა გვყავდეს“

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია უძღვებოდა. სხდომამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განახორციელა.

ბიუჯეტი სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში 13 392 941,79 ლარით გაიზარდა. მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 8 179 947 ლარი. აქედან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში – 1 086 00 ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად – 1 500 000 ლარი; საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის – 160 000 ლარი; საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით – 333 680,45 ლარი;

შემცირდა: წინა წლების წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა – 30 000 ლარით; გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა – 22 000 ლარით; ბინათშენებლობა, სხვადასხ-



ვა კაპიტალური ხარჯი – 22 000 ლარით; სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა – 1 400 ლარით; კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა – 58 600 ლარით; ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა 10 000 ლარით; ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება 18 100 ლარით;

შესაბამისად გაიზარდა: ელექტროენერჯის ხარჯი, არაფინანსური აქტივის ზრდა – 102 000 ლარით;

წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 100 000 ლარით; სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა (კლუბ „მერცხალის“ წახალისება) – 1 400 ლარი; ოზურგეთის ცეკვის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სუბსიდირება – 8 600 ლარი; მზრუნველობამოკლებულთა კვება – 18 100 ლარი.

როგორც პროექტის წარმომდგენმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გიო მამაკაიშვილმა განაცხადა, საბავშვო ბაღების

სამუშაო ელექტრომომარაგებისა და ელექტროენერჯის შესაძენად ბიუჯეტს 430 000 ლარის გაღება მოუწევს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ალექო მამეშვილმა ორი პროექტი წარმოადგინა. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ქალაქ ოზურგეთში ორი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება: ქ. ოზურგეთში, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე (დოლიდის და



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
 ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
 რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

მოქალაქეთა მასობრივი ვაქცინაციის ფარგლებში, „მედალფას“ კლინიკაში



ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში საყოველთაო აცრა მიმდინარეობს - პროცესში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩაერთვნენ. მობილიზებულია შვიდი ამცრელი ჯგუფი და ვაქცინის ჩასატარებლად მისულ მოქალაქეებს შეუფერხებლად შეეძლებათ კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება.

კლინიკაში საყოველთაო აცრის მიმდინარეობას ადგილზე პირადად გაეცნო გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე. აცრა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზებული ვაქცინებით „სინოფარმი“, „სინოვაკი“, „ასტრაზენეკა“ და უკვე „ფაიზერითაც“ კეთდება.

გასულ კვირაში ჩვენს მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი დამატებითი ასაცრელი პუნქტი დაემატა შეკვეთილში, ემერჯენსის შენობაში - სამედიცინო ცენტრი „დოსტაქარი“.

ამ ეტაპზე რეგიონის მასშტაბით - 7500-მდე მოქალაქეა ვაქცინირებული. გურიის გუბერნატორმა გიორგი ურუშაძემ „სინოფარმის“ მეორე დოზით აიცრა.

გიორგი ურუშაძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსახლეობას მასობრივი ვაქცინაციისკენ და აღნიშნა, რომ ის ინფექციისაგან თავდაცვის ეფექტური და უსაფრთხო საშუალებაა.

სანაპირო ზოლზე ზღვაში დიდი ოდენობით ნარჩენები გამოირიყა



მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღე ინტენსიურად მიმდინარეობდა გურიის სანაპირო ზოლის დასუფთავება და სრულად იყო გაწმენდილი აღნიშნული ტერიტორია, უამინდობის შედეგად ზღვაში დიდი რაოდენობის ნარჩენები 28 ივლისის კვლავ გამოირიყა.

შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ნარჩენების მართვის სამსახური, ააიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის დახმარებით, აქტიურად არის ჩართული გურიის სანაპირო ზოლის დასუფთავებაში, ადგილზე სრულად მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა და ადამიანური რესურსი.

სახელმწიფო რწმუნებულის სამსახური მოსახლეობას და დამსვენებლებს ბოდიშს უხდის სანაპირო ზოლში შექმნილი დისკომფორტისთვის!

ვულთვალი

ზურაბ ნასარიას საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხი მიენიჭა

გურიის მსხვერპლთა ზურაბ ნასარიას ნაშრომისათვის „რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის მართკუთხეში გამოცდილება და მისი საქართველოში იმპლემენტაცია“, საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

სადოქტორო ნაშრომი გურიაში ჩემი სამწლიანი მოღვაწეობის ერთ-ერთი შედეგია და გამოცდილების განზოგადებაა. სწორედ ამიტომ ნაშრომში ძირითადი ნაწილი გურიის, როგორც „მწვანე რეგიონის“ სტრატეგიის შემუშავებას და მის პერსპექტივებს დაეთმო

სამეცნიერო კვლევებითა და ემპირიული დასკვნებით დადგინდა, რომ რეგიონის მდგრადი განვითარების მართვის მნიშვნელოვან მექანიზმების შესაბამისობა გლობალურ მიზნებთან - ეს არის ადამიანური პოტენციალის ფორმირების,

რაციონალური გამოყენების, შენარჩუნებისა და განვითარების პირობების უზრუნველყოფა, მათი ერთმანეთთან ურთიერთკავშირი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული განვითარების მდგრადობას. ეს და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები ვრცელდაა განხილული ნაშრომში.

დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალისხმევით ბევრი, მნიშვნელოვანი და საერთო სარგებელის მქონე საქმის გაკეთება შესაძლებელია. ასე, რომ მორიგ წარმატებამდე, მეგობრებო! - წერს ზურაბ ნასარია საკუთარ ფეისბუქგვერდზე.



ოზურგეთელი ქიმიკი მაღლენა ბერიძე „ბალვის“ ბათამაშობის გამარჯვებულია

ოზურგეთელმა მაღლენა ბერიძემ „ბალვის“ ბათამაშობაში ბოლო მოღვლის „ფორდ რეინჯერ-ი“ მოიგო. „კიდევ ერთი ბედნიერი მომხმარებელი - მაღლენა ბერიძე ოზურგეთიდან. მაღლენა ექიმი ოზურგეთში სასწრაფო დახმარების ბრიგადაში მუშაობს.

ჩვენი ფორდით ის ახლა ოზურგეთისკენ მიემგზავრება. სულ მწვანეზე გველოთ ქალბატონო მაღლენა“ - წერს კომპანია „ბალვი“. მაღლენა ბერიძე სოფელ მთისპირიდანაა. ამჟამად ანასეულში ცხოვრობს. ვულთვაცო ქალბატონ მაღლენას ამ მოგებას.



30 ივლისის მონაცემებით გურიაში კოვიდ შემთხვევის 71 ფაქტი დადასტურდა

30 ივლისის მონაცემებით ქვეყანაში „კოვიდ 19“-ის 2 769 შემთხვევა დაფიქსირდა, რითაც დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 416 338 გახდა. გარდაიცვალა 25 ადამიანი. ვაქცინაციის დაწყების

დღიდან 464 875 ადამიანმა აიცრა, მათ შორის 153 128 პირმა უკვე მეორე დოზა მიიღო. 30 ივლისის გურიის რეგიონში დაავადების 71 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

„ქალაქის ყველა უბნის მოსახლეობა თანაბარ პირობებში უნდა გვყავდეს“ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე



ბოლქვადის ქუჩების) (1595 000 ლარი) და მერაბ კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია (6. 000 000 ლარი) რეაბილიტაცია განხორციელდება.

საკრებულოს დეპუტატმა **ლელა საჯაიამ** დასვა კითხვა-რატომ მოხდა, რომ დოლიდისა და ბოლქვადის ქუჩების პროექტში მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოება გათვალისწინებული და მერაბ კოსტავას ქუჩაზე, სადაც რამდენიმე მრავალსართულიანი სახლია, არც ერთის ფასადის რეაბილიტაცია არ არის შეტანილი პროექტში.

— **ქალაქის ყველა უბნის მოსახლეობა თანაბარ პირობებში უნდა გვყავდეს** — განაცხადა საჯაიამ.

პროექტი მერაბ კოსტავას ქუჩის ასფალტირებას, ტროტუარების და საგზაო გადასასვლელების, გარე გან-

ათების სისტემების მოწყობას ითვალისწინებს.

სხდომაზე სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც იმსჯელეს: 2021-2022 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან კვლავ დასახელდა მერაბ კოსტავას ქუჩა, ანასეულში სასოფლოს ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (1. 151 340 ლარი); სოფელ ჯუმათში ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტება (3 301 540 ლარი).

დეპუტატმა **მარიკა ჩხიკვიშვილმა** ძიძითი-ნასაკირალის საავტომობილო გზის მიმე მდგომარეობაზე ისაუბრა და სოფელ გაღმა დეპაზუში გზის რეაბილიტაციის შესახებ დასვა კიტხვა

— ეს გზა მუნიციპალიტეტს არ

ეკუთვნის ტენდერი ჩატარებულია, გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია და დაიქცება ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. ტროტუარები უნდა მოეწიოს ქ. ოზურგეთში, თაყაისვილის ქუჩაზე სოკარის ბენზინგასამართი სადგურიდან შპს „გზამშენაშენი“ უპასუხა ჩხიკვიშვილს ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **თემურ გიორგაძემ**.

სხდომაზე გაკეთდა განმარტებები კონკრეტულ მუხლებში შასატან ცვლილებებზე, გამოითქვა შენიშვნები და რეკომენდაციები.

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლელა საჯაიამ** წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოების წესში ცვლილებების თაობაზე ინიციატივა გააუქურა. კერძოდ, მსოფლიო ჩემპიონებისათვის გაიზარდოს დასაჯილდოებელი თანხა 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო ევროპის ჩემპიონის ოდენობით და მოიხსნას წესში გაწერილი ასაკობრივი სხვაობა. მანვე, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის ადამიანები კლუბისათვის დასაჯილდოებელი თანხის ათასი ლარის ოდენობით დაწესება მოითხოვა. დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის ეს ინიციატივა სრულად გაიზიარა საკრებულომ.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები საკრებულოს სხდომაზე დამსწრე შეხალავაზე უმაღლესი შემადგენლობამ დაამტკიცა.

აშშ-ის საელჩოს განცხადება „ქართული ოცნების“ 19 აპრილის ხელშეკრულების შეთანხმების დასკვნასთან დაკავშირებით



ამერიკის შეერთებული შტატები ძალზედ შეწუხებული და გაბრაზებულია პარტია „ქართული ოცნების“ ცალმხრივი გადაწყვეტილებით, გასულიყო 19 აპრილის შეთანხმებიდან, დოკუმენტიდან, რომელიც შემუშავდა ექსტრემიზმი რთული, მაგრამ ერთობლივი მოლაპარაკებების შედეგად და წარმოადგენს ქართველი ხალხისა და მათი დემოკრატიის წინსვლისთვის აუცილებელ გზას. ცხრა არჩეული პარტიიდან სულ მცირე ექვსი პარტიის ასოხუთმეტმა პარლამენტარმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და პირობა დადო, რომ კეთილსინდისიერად ითანამშრომლებდა დრმა პოლარიზაციის შესამცირებლად, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ პროგრესს აფერხებს. ვაშინგტონის შეშფოთება სულ უფრო მეტად ღრმავდება საქართველოს დემოკრატიული მომავლის გზაზე განმეორებითი უკანგადადგმული ნაბიჯების გამო.

ყველა ხელმოწერა პასუხი უნდა აგოს ხელშეკრულების ფარგლებში მათ მიერ აღებულ ვალდებულებებზე მაშინ, როდესაც ჩვენ ვაგრძელებთ დაჟინებით მოთხოვნას, რომ ყველა პარტიამ ხელი მოაწეროს და სრულად შეასრულოს შეთანხმება. ქართული ოცნების მიერ შეთანხმებიდან ცალმხრივად გასვლა კიდევ ერთი გადახვევაა როგორც იმ მოლაპარაკებების შინაარსისა და სულ-ისკვეთებიდან, რომელშიც „ქართული ოცნება“ იღებდა მონაწილეობას, ასევე, იმ შეთანხმებიდან, რომელსაც მან ხელი მოაწერა. მმართველი პარტიის ეს გადაწყვეტილება, ქვეყნისთვის, მხოლოდ და მხოლოდ, უფრო მეტ პოლიტიკურ არასტაბილურობას ქმნის და აჩენს კითხვებს „ქართული ოცნების“ ერთგულებაზე საქართველოს დემოკრატიული მიზნების მიღწევისადმი, იმ მიზნების, რომელიც პარტიამ თავად განსაზღვრა საქარ-

თველოსთვის.

საქართველოს ინტერესები საუკეთესოდ იქნება დაცული, თუ შეთანხმებაში მიღწეული კონკრეტული სასამართლო, კონსტიტუციური და საარჩევნო რეფორმების საკითხები განხორციელდება მრავალპარტიული კონსენსუსის საფუძველზე და არა ერთი პარტიის ცალმხრივი მოქმედების შედეგად. დროული პროგრესი ამ რეფორმების განსახორციელებლად ყველაზე პასუხისმგებელია გზაა, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ციკლი დასრულდეს და ეს პროგრესი კვლავ უმნიშვნელოვანესია საქართველოს ევროატლანტიკური მომავლისთვის. დესტაბილიზაციისა და განხეთქილების გამოწვევებზე სარგებელი მოაქვს მხოლოდ მათთვის, ვინც ცდილობს, ძირი გამოუთხაროს საქართველოს დემოკრატიის სტაბილურობასა და წარმატებას.

ეს შეთანხმება ქმნის სასარგებლო გზამკვლევს მნიშვნელოვანი რეფორმებისთვის, რომელიც საჭიროა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად, სასამართლო სისტემის პოლიტიზირების შესამცირებლად, საქართველოს საარჩევნო სისტემის გასაუმჯობესებლად, პარლამენტში ძალაუფლების განაწილებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისთვის ძალისხმევის გასაგრძელებლად. ეს რეფორმები, რომელიც უნდა იყოს ინკლუზიური, მრავალპარტიული პროცესის შედეგი, კვლავაც სასწრაფო და აუცილებელია.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიას, მათ შორის „ქართულ ოცნებას“, ერთობლივი მუშაობისა და იმ ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებისკენ, რაზეც ისინი შეთანხმდნენ და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპულ ერთა ოჯახში დროული ინტეგრაციისთვის.

მმართველმა პარტიამ მერობის კანდიდატები დაასახელა

დიდი თუ მცირე პროექტი ინფრასტრუქტურაში, განათლებაში, კულტურაში და სოციალურ სფეროში. ეს პროცესი არ უნდა შეჩერდეს და ამის გარანტი არის სწორედ „ქართული ოცნების“ ძლიერი გუნდი, რომლის მხარდაჭერით კიდევ უფრო სერიოზული გეგმები გვაქვს და რომელსაც ალტერნატივა არ ჰყავს მოცემულ პოლიტიკურ ველზე.

როგორი რთულიც არ უნდა იყოს ბრძოლა, ყველაფერს ვაგაკეთებ, რომ კიდევ ერთხელ მოვიპოვო თითოეული ლანჩუთის დიდი ხეობა, ვაგამართლო მათი იმედები და გუნდთან ერთად ვიყო მაქსიმალურად ორიენტირებული მეტი კარგი საქმის კეთებაზე.

მე ვიცი, რომ „ერის სამსახური პრივილეგიაა, რომელიც უნდა დაიშალოს“. მდლობა ამ პრივილე-

გიისთვის მმართველ გუნდს, რომელიც კიდევ ერთხელ მერობა, მდლობა ყველა ლანჩუთელს — თანამშრომლობის, თანადგომისა და ერთგულებისთვის!

მჯერა, ამ საარჩევნო მარათონსაც ერთად გავივლით და პირველივე ტურში ერთად გავიმარჯვებთ! — აცხადებს ლანჩუთის მოქმედი მერი **ალექსანდრე სარიშვილი**.

— ჩემთვის დიდი პატივია ვიყო „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მერი ჩემი მშობლიური ჩონატაურის მერიობის კანდიდატად წარდგენილი.

გვრძობ დიდ პასუხისმგებლობას, შესაძლებლობას, გამოწვევასა და შანსს ახალგაზრდისთვის, ვიღვარ, ვიშრობო, დავინარჯო ჩემი საყვარელი ჩონატაურის წარმატებისა და განვითარებისთვის.

წარდგე ისეთი პროგრამით, რომელიც ორიენტირებული იქნება პრიორიტეტებზე, როგორებიცაა: თითოეული მოქალაქის სოციალური დაცვა, დასაქმების ხელშეწყობა, ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოკვეთა, მათი მგრაციის შეწყობა, ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თითოეული ჩონატაურელის მაქსიმალური ჩართულობა, მოქალაქეზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმვა და ა.შ. ჩვენს გუნდს საზოგადოებაში ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს. ყველაფერს ვაგაკეთებ, ძალისხმევას, მონაწილეობას და ენერჯას არ დავიშურებ, მუნიციპალიტეტს წლობისთვის მდლობა საქმით რომ გადაუწყვდეს.

მდლობა „ქართული ოცნების“ გუნდსა და ჩვენს მხარდამჭერებს. — **წერს დავით შარაშიძე**.

ნატოში ინტეგრაცია არის ქვეყნის მთავარი ორიენტირი

ალიონი. გასულ პარასკევს სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ გურიის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა **ირაკლი პაპაძემ** ონლაინ შეხვედრა გამართა მედიასა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის თემა ნატო და ევროპული ინტეგრაცია იყო.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ნატოს-ს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), რომელიც 1997 წელს

შეიცვალა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთა აღნიშნულ ფორმატში, რომელშიც საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩართული.

2006 წლის 21 სექტემბერს, ნოუ ორკამ გამართულ ნატოს-ს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე აღიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაეწყო „ინტენსიური დიალოგი გაწვევების საკითხებზე“ - აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან აღიანსის წევრობის კანდიდატობის - ასპი-

რანტის ფორმატზე.

საქართველოს მიერ IPAP-ით აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობის პროცესში მიღწეული პროგრესის საფუძველზე, 2008 წლის 3 აპრილს, ბუქარესტის სამიტზე აღიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატოს-ს წევრი ქვეყანა“. ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს საქართველოს ნატოში გაწვევების გზაზე.

საქართველო, როგორც ევროატ-

ლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი სახელმწიფო, აქტიურად არის ჩართული ნატოს-ს ევდიო წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა აფანეთში აწ უკვე დასრულებულ ოპერაციაში.

ონლაინ რეჟიმში გამართულ შეხვედრაზე თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს ნატოსა და ევროკავშირში გაწვევანების დაკავშირებით, მედიას საზოგადოების გამოწვევებზე გახუთ „ალიონის“ რედაქტორმა **ნუგზარ ასათიანმა**, „გურია ნიუსის“ ჟურნალისტმა **გიორგი ვირველ-**

იმე, სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე **კასა ლომაძემ** და სხვებმა.

ითქვამს, რომ რეგიონის მედიასა-შუალედებმა არასამთავრობო ორგანიზაციებს მეტი ინფორმაცია უნდა მიუტანონ მოსახლეობამდე. ამის აუცილებლობა გამოწვევის შემდეგი ფაქტორებით: ანტიდასავლური პროპაგანდა; ინფორმაციის ნაკლებობა რეგიონებში; ქვის ბარიერი უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში.

„ნატოში ინტეგრაცია არის ქვეყნის მთავარი ორიენტირი“ — ითქვა შეხვედრაზე.

ალიონი 90 1938

ცილისმწამლებმა პასუხი უნდა აგონ

მაფსალე-საგრეხი ფაბრიკის ბუხ-პალტემა მ.ჯ-ძემ (კომკავშირელი) ცილისმწამლებური განცხადება შეიტანა უმანკო ჭეიშვილზე პარტკომში, თითქოს ჭეიშვილს ფაბრიკის ბავშვთა ბაღის გამგედ მუშაობის დროს დაეწვას ფულადი დოკუმენტები, ხალხის მტერ კილაძეს (საუბარია რაიკომის ყოფილ პირველ მდივან მამია კილაძეზე —რედ.) წაყოლოდეს მოსკოვში და გაენაივებინოს ბავშვთა ბაღის საგრძნობი თანხები.

გამოიყო კომისია ჭეიშვილზე წაყენებული ბრალდების გამოსარკვევად. შემოწმებით დადასტურდა, რომ ჯინჭარაძის განცხადება შეიცავდა სრულ სიყალბეს. უ. ჭეიშვილის ბავშვთა ბაღის გამგედ მუშაობის დროს არავითარ გაფლანგვას არ ჰქონია ადგილი. ყველა ფულადი ანგარიშები 1930 წლიდან (ე.ი. ამხ. უ. ჭეიშვილის მუშაობის დაწყებიდან) გაფორმებულია სათანადო აქტით და ინახება განათლების განყოფილებაში.

რაც შეეხება ჯინჭარაძის ცილისწამებას, რომ 1935 წელს ჭეიშვილი გაჰყვა ხალხის მტერ კილაძეს მოსკოვში და ბავშვთა ბაღის თანხები გაანაივაო, აღნიშნული ბრალდება მოკლებულია სინამდვილეს. 1935 წელს უ. ჭეიშვილი მოსკოვში გაემგზავრა განსაკომისი დადგენილების საფუძველზე, როგორც საბავშვო ბაღის მოწინავე და სანიმუშო ხელმძღვანელი და არც გაუწული ხარჯები ბავშვთა ბაღს არ გაუღია.

საინტერესოა რა ამოქმედებდა ცილისმწამებელ ჯ-ძეს?

ჯ-ძემ, როდესაც კომისია შეეკითხა: აბა დადასტურე ერთი ფაქტი შენი განცხადებიდან —უპასუხისმგებლოდ განაცხადა: „რა ვიცი ხალხში, ბავშვთა ბაღის თანამშრომლებში გავრცელებული იყო ხმა, ვითომ ჭეიშვილმა დაწვა დოკუმენტები.“

—ვინაა ხალხი?
ბავშვთა ბაღის დამლაგებელი, რომელმაც თურმე ერთხელ შეხვდა, რომ დაწვეს ბაღში უვარგისი ქაღალდები. ეს დაიხვია ხელზე ჯინჭარაძემ და იგი ყალბი ცნობების შთახვით შეეცადა სახელი გაეტეხა პარტიის წევრობის კანდიდატისათვის.

ცილისწამებისათვის ჯინჭარაძემ პასუხი უნდა აგოს.

№44, 15 ივნისი, 1938 წ.

სტუმრების მოლოდინში

მაისის პირველ რიცხვებში შრომის კოლმეურნობის კოლმეურნეებმა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით მომძე უკრაინის სსრ კოლმეურნეებს გაუგზავნეს წერილი...
რამდენიმე დღის შემდეგ ასევე წერილი გაუგზავნეს სომეხ კოლმეურნეებს ნატანებელმა მშრომლებმა. ამრიგად, ქართველ ხალხსა და მომძე რესპუბლიკების —უკრაინის და სომხეთის ხალხებს შორის გაიმართა მეგობრული მიწერ-მიწერა, ურთიერთ ვალდებულება აიღება, შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შრომის კოლმეურნეების წერილსა და უკრაინელი ამხანაგების პასუხს ბელორუსის სს რესპუბლიკის კოლმეურნეებიც გამოეხმაურნენ. ყოველ დღე იბეჭდება გაზეთებში ამ რესპუბლიკათა კოლმეურნეების გულმოდინი, მგზნებარე წერილები ხალხიან საკოლმეურნეო შრომაზე, მდიდარ, სასიხარულო ცხოვრებაზე.

ეს წერილები, საქ კ.პ. (ბ) მახარაძის რაიკომის ბიუროს დადგენილებით დამუშავებულ იქნა პარტორგანიზაციების და კოლმეურნეთა კრებებზე, პრივატებში, ჯგუფებში...

„ლენინის დროს“—ს 10 ივნისის



ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ დეკემბრის კვირიდან უკრაინის კ.პ. (ბ) დეპროპეტროვსკის ოლქის, გენინესკის რაიკომის ბიუროს დადგენილებაზე, რომელიც ითვალისწინებს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას გენინესკისა და მახარაძის რაიონების კოლმეურნეთა შორის. ამ უახლოეს ხანში ჩამოვლენ ამხანაგები ხელშეკრულების გასაფორმებლად...

შემოდგომამდე სამიოდე თვეა დარჩენილია. ახლა ჩვენ სტუმრების მოლოდინში ვართ. ძვირფას ამხანაგებს უნდა შევხედო ბრწყინვალე გამარჯვებებით ჩაის კრეფაში, ნათესების დამუშავებასა და სხვა ამოცანების შესრულებაში... (იბეჭდება შემოკლებით)

ბლი №44, 15 ივნისი, 1938 წ.

რაიონის ბუნებრივი სიმდიდრეები ასპანტი

ასკანიტი-ბენტონიტური თიხების ჯგუფს ეკუთვნის. მისი საბადო მდებარეობს 14 კილომეტრზე ქ. მახარაძიდან. სასარგებლო პროდუქციის მარაგის მხრივ ყველაზე დიდ მასივს ცინისუბანში ვხვდებით. ყველა სხვა უბნებთან შედარებით გამორკვეული და შესწავლილია მთისპირის მასივი.

ბუნებრივად ასკანიტის მათეთრებელი უნარი ძალიან მცირეა, რის გამოც უშუალოდ მისი გამოყენება პროდუქტების საწმენდად არ შეიძლება. სიმკვავითა და მოქმედებით ასკანიტიდან მიიღება მაღალი თვისებების მქონე თიხა, რომელსაც ასკანიტი ეწოდება. ასკანიტის მრავალზღვივად გამოცდილებამ ლაბორატორიულ და ქარხნის პირობებში გვიჩვენა მისი საუკეთესო თვისებები. ეს მაღალხარისხოვანი თიხა სწმენდს და ანთავისუფლებს ფისისა და ასფალტებისაგან ნავთის პროდუქტებს, აგრეთვე მცენარეული და ცხოველური ლორწოებისაგან ზეთებს და ცხიმებს.

ასკანიტის მომხმარებლებია: ნავთის, ლაქსალებავების, ცხიმების და სხვ. წარმოებები.

ამავე საბადოს ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ასკანგელი. ამ თიხას უფრო მეტად ასკანიტის ქვედა ჰორიზონტებში ვხვდებით. ზოგჯერ იგი ცალკე საბადოს სახით გვევლინება.

ასკანგელს იყენებენ სხვადასხვა სასმელთა ფერის დასაწმენდად, იგი სიმღრივეს აცილებს სასმელს. ასკანგელი უდიდეს გამოყენებას პოულობს ლითონის ჩამოსხმისათვის საჭირო ხელოვნურ საყალიბო ნარევეთა შორის. საყალიბო საქმეში ასკანგელის წლიური მოთხოვნილება 30.000 ტონას უდრის. ამას გარდა, ასკანგელს იყენებენ საპნისა, სხვა და სხვა საცხების დასამზადებლად და ქაღალდის წარმოებაში.

ამჟამად დაპროექტებულია ასკანიტის ვადამამუშავებელი ქარხანა ქ. მახარაძეში. იგი წლიურად 5 000 ტონა პროდუქციას გამოუშვებს. მეორე რიგში განზრახულია იქვე საბადოსთან მიეწყოს ქარხანა, რომლის წლიური

სიმძლავრე იქნება 35,000 ტონა. ასკანიტი იმდენად პოპულარული და სასარგებლო ნივთიერებაა, რომ მის დამუშავების საქმეს დიდი ინტერესით მოჰკვიდა ხელი მოსკოვის სათანადო ორანიზაციებმა. ასკანიტი მომხმარებლები დიდი სიამოვნებით იხდიან ტონა ასკანიტზე 2000 მანეთს.

ასფალტიტი

ასფალტიტის საბადო არის ნატანებში, სადგურიდან 2 კილომეტრზე. აქ ეს საბადო მოქცეულია ქვიშიაქვიან და თიხაქვიშაქვიან ნალექებში. ნატანების ასფალტიტი შეიცავს 99,1 პროც. ბიტუმურ და 0,7 პროც. არაორგანულ ნივთიერებას, ბიტუმს იყენებენ მაღალხარისხოვანი ლაქის დასამზადებლად. აღნიშნული საბადო უკვე ექსპლოატაციაშია. უახლოეს დროში ამუშავდება ნატანების კარგად მოწყობილი ბიტუმისქარხანა, რომელიც საბჭოთა ქვეყანას მისცემს მაღალხარისხოვან ბიტუმს.

ინფ. ე. ვასაძე №46, 21 ივნისი, 1938 წ.

პატარა ფელეტონი

საზაფხულო რამე რუმე

ზაფხულის პაპანაქება როგორც ვხედავთ უკვე დადგა, რაიმამაც ბამბეული შემოზიდა, მოალაგა. თეთრი ტილო, „უკრაინკა“, კიდე ვიან დაუკვია, „საქვაჭრობას“ დაეჯიბრა;— შენ თუ არ გაქვს, მაცა მეცა. * * *

სიროფ-სიტროს, ნარზან-ბორჯომს, ცხელ ტაროსში აბა რა სჯობს, ასე არ ბჭობს ადგილმრეწვი, (ეს საკითხი მას არ ეწვის). * * *

გესმის, ყურობ ელსადგურო... სანამ უნდა იფაფხურო, საბერველი აღარა გაქვს, მანქანა რომ გაახურო? სმენა მაინც რამ წაგართვა, საჩვირებს რომ დააყურო, ვის ეყოფა დიდ ღამეში ერთს საათს ძლივს ემსახურო. თინიშვილს ამ ჩვენს ვასოს, კაცს კარგს,სათონს, საბაასოს, რა უჭირს, რომ მოვლევჯილ მწურს, „ქნობა“ დროზე მიამგროს. * * *

სასადილო „გურიამი“ ტარზუნაც აქვთ, კიტრიც თურმე, აქ მენიუ ვის სჭირდება, მოითხოვეთ „რამე რუმე“. გვერდზე კაფე-რესტორანი კუთხეში კი „როიალი“,— დაკვრელი ვერ იშოვებს და „გვართობს“ რადიოს ხრიალი... * * *

იქ მზავრებით გაჭვდილა დარბაზი „სოიუზტრანსი“-ს, დირექტორი თურმე უცდის „ემადინს“ და „ზილსტოადინს“. ტიგრან ყაყიტაშვილი №51, 11 ივლისი, 1938 წ.

ფხვბურთი

12 ივლისს შედგა შეხვედრა მახარაძის „კრასნაია როზა“-ს და თბილისის „კრასნაია როზას“ ფხვბურთელთა გუნდებს შორის. ამ დღის შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მასურებლებში, რადგან გამაჯვებული გუნდი დაიჭერდა პირველ ადგილს საქართველოში სპორტსაზოგადოება „კრასნაია როზას“ ხაზით.

თამაშის პირველი განყოფილება დაძაბულად მიმდინარეობს. მე-8 წუთზე თბილისელები ჯარიმდებიან „პენალტით“, რომელიც გააქვს ილია მერვლაძეს.

თბილისელებმა საპასუხო ბურთი მახარაძელთა ბაღეში მოათავსეს, თამაში ცენტრიდან იწყება. მახარაძელებმა მოულოდნელ ბურთს ენერგიული და მწყობრი კომბინაციებით უპასუხეს. თავდამსხმელთა ხუთეული საჯარო მოედანზე „დალაგდნენ“. იქმნება კრიტიკული მინუტი, რომლითაც სარგებლობს ცენტრთავდამსხმელი გრიშა კამპანიოვსკი და ზუსტი დარტყმით ადიდებს ანგარიშს. 27-ე წუთზე ბახა მექვაბიშვილმა მესამედ შეარხია თბილისელთა ბაღე. თამაშის ბოლო წუთებში თბილისელთა ტაქტიკური შეცდომის შედეგად მცველს თავისით გააქვს ბურთი მის კარებში. პირველი ტაიმი მთავრდება ანგარიშით 4:1 მახარაძელების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი მახარაძელების შეტევით მიმდინარეობს, ხშირად უახლოვდებიან თბილისელთა კარებს. ენერგიულად თამაშობენ თავდამსხმელები ბახა მექვაბიშვილი, გრიშა კამპანიოვსკი და დიმიტრი კუჭუხიძე. არ გასულა 12 წუთი და სტუმერთა მეკარეს მეხუთედ უხდება მექვაბიშვილის მიერ დარტყმული ბურთის გამოტანა კარებიდან. შუტუ სალუქაძის მძლავრ „შუტს“ შეიქცევა გამარჯვება მოაქვს მახარაძელებ-



ისათვის, ბოლო წუთებში გრიშა კამპანიოვსკის გააქვს მეშვიდე ბურთი და თამაში მთავრდება მახარაძელების ბრწყინვალე გამარჯვებით ანგარიშით 7:1. შეჯიბრის მრავალი მასურებული ესწრებოდა. თამაშს კარგად სჯიდა მსაჯი ე. თოხაძე.

ქ. ჩხაიძე
ქრონიკა
24 აგვისტოს მახარაძის ფიზკულტურის სტადიონზე შედგება ფხვბურთის მატჩი საქართველოს პირველობაზე. თამაშობენ: მახარაძე (ნაკრები)—თბილისი (დინამო). №53, 20 ივლისი, 1938 წ.

რაიონის ბუნებრივი სიმდიდრეები გურიის ნავთი

გურიის ნავთის რაიონი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროს ახლოს.

გურიის ნავთის რაიონში ცნობილია შემდეგი საბადოები:

ომფარაძის საბადო;

ეს საბადო მდებარეობს მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე რკინისგზის სადგურ სუფსიდან 1,5 კ.მ. დაშორებით.

ომფარაძის საბადოს ძიება დაწყებული იყო ჯერ კიდევ 1886 წლიდან, ამავე წელს გაყვანილი იქნა სამი საცდელი ბურღილი სიღრმით 31 მეტრამდე, რომელმაც უჩვენა ნავთის კარგი ნიშნები.

1912 წელს შეუდგნენ ახალ ბურღვლის გაყვანას, მაგრამ ის შეწყვეტილი იქნა ომის გამო. 1926-29 წ.წ. გათხრილი იქნა ღრმა ბურღილი №1 სიღრმით 890 მეტრი. 522 მეტრიდან ადგილი ქონდა ნავთის ზომიერ გადმოდენას ხვედრითი წონით 0,945. სამ დღეამდე მიღებული იქნა 5 ტონა ნავთი. 1932 წელს საქ. ნავთობის მიერ გავრცელებული იყო ძიება, რომელმაც საქ. ნავთისძველი ხელმძღვანელობის აზრით მათ შედეგი არ მისცა.

სამხრეთი საპურიის საბადო

ეს საბადო მდებარეობს მდ. ნატანების აუზში 3-4 კ.მ. დაშორებით, რკინისგზის სადგურ ნატანებიდან ჩრდილოეთით. აქ შემჩნეულია ნავთის მრავალი გამოსავალი. რეკოლუციის წინა წლებში აქ აწარმოებდნენ ძიებას ბურღვით (გეოლოგიური პირობების შესასწავლად) ციკაბოდ დაქანებულ ფენებში, რის გამოც მიღებული იქნა უარყოფითი შედეგი.

გულიანის საბადო

ეს მდებარეობს სოფ. გულიანის ახლოს 12 კ.მ. დაშორებით ა-კ რკინის გზის სადგურ სუფსიდან. ამ საბადოში გათხრები აწარმოა საქ. ნავთობ 1932 წლ. განსაკუთრებულ ქანთა, საბადო გადაკეთის გამო ბურღი გაჩერებულ იქნა 356 მეტრის სიღრმეზე.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გურიის ნავთის ზემოთ ჩამოთვლილი რაიონები უდაოდ ნავთის დიდ მარაგს შეიცავენ. მკვებლებმა და ხალხის მტრებმა განგებ შეაჩერეს გურიის ნავთის ძიება.

შავი სპეციალისტები, რომლებიც ნავთის ძიებაზე მუშაობდნენ, გვერდს უდრიან გურიის ნავთის მარაგის გამორკვევას. გურიის ნავთი დიდი ყურადღების ღირსია, დღეს გურიის ნავთის დღევალური ძიება გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს...

ინფ. ე. ვასაძე №54, 22 ივლისი, 1938 წ.

კოლმეურნე მატარებელი ავარიას გადაარჩინა

21 აგვისტოს მახარაძიდან ბათუმში მიმავალ მატარებელს სადგურ მერიის ახლო, გზაზე დახვდა კოლმეურნე კვერდელიძე და შემანქანეს ანიშნა, მატარებელი გაეჩერებინა.

შემანქანემ მატარებელი გააჩერა. გამოიკვია, რომ რკინიგზა სერიოზულად დაზიანებული, დამტვრეული იყო და ამრიგად კოლმეურნე კვერდელიძემ მატარებელი ავარიის გადაარჩინა.

კოლმეურნე კვერდელიძემ, რომელმაც გამოიჩინა სათანადო სიამაცე, გადაარჩინა მატარებელი მოსალოდნენ ავარიას, წარდგენილია რაიგზის სამმართველოში დასაჯილდოებლად.

ხ.კი 61, 22 აგვისტო, 1938 წ.

ოზურგეთელმა მორწმუნეებმა მესხეთის ეკლესია-მონასტრებში მოიღოცეს

მისაბაძი ტრადიცია მკვიდრდებოდა ოზურგეთში, აქაური მრევლი აპირებს მოიღოცოს საქართველოს ყველა კუთხის ეკლესია-მონასტრებში. ამ მიზნით 29 ივლისს ოზურგეთელი მომლოცველები საეკლესიო-ხუროთმოძღვრული ძეგლებით ყველაზე მრავალფეროვან მხარეს, მესხეთს იმყოფებოდნენ და დასახული მისია ზარზმის დიდებულ ტაძრიდან დაიწყეს.

ლოცვლებმა ხელიდან არ გაუშვეს აბასთუმნის ობსერვატორიის ნახვისა და გაცნობის შესაძლებლობა. ოზურგეთიდან აბასთუმანში ჩასული ჯგუფისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული გულსიმპატიებისთვის მადლობას ვუთვლით ობსერვატორიის დირექტორის მოადგილეს ვაჟა კულიჯანიშვილს და ასტროლოგ სოფიო ბერაძეს, რომლებმაც

წელს ასევე პირველმა შეიძინო მერკურის ატმოსფერო. ი. ხელაძემ აღმოაჩინა პირველი ზეპოლი ვარსკვლავი გალაქტიკაში.

ობსერვატორიას 60 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიოში ცნობილი აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, რომელიც, შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, იყო ამ სამეცნიერო დაწესებულების საპატიო დირექტორი. სწორედ მის სახელს ატარებს ობსერვატორია.

სოფელ უდეს ზინდა ნინოს სახელობის ეკლესია. აბასთუმნიდან ახალციხისკენ მობრუნებულებმა, გზად შევიარეთ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდესში, სადაც მოეინახულეთ წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია.

ახალციხის ციხე. მთელი თავისი დიდებული არქიტექტურით წარმოგვიჩინდა ახალციხის ციხის კომპლექსი.

ქალაქი ახალციხე IX საუკუნეში დაარსა **გუარამ მამფალმა**, ტაო-კლარჯეთის მეფის **აშოტ I კურაპალატის** ვაჟმა, თავიდანვე ქალაქი იწოდებოდა „ლომსიად“. ახალციხე პირველად მოიხსენიება 1204 წელს შალვა და ივანე ახალციხელების დახასიათებისას



ზარზმის სამონასტრო კომპლექსი

– XIV საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი დიდებული საეკლესიო ძეგლი ხარაჩოებში დაგვხვდა. მიმდინარეობს ტაძრის სარესტავრაციო და ტურიზმის ინფრასტრუქტურის სრულყოფის სამუშაოები. დონორია მსოფლიო ბანკი, დამკვეთი – საქართველოს მუნიციპალიტეტი განვითარების ფონდი, კონტრაქტორი – ერთობლივი საწარმო „არქიტექსი და ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი“. სარესტავრაციო სამუშაოები ისე ტარდება, რომ წირვა-ლოცვას ხელი არ შეეშალოს

ზარზმის სამრეკლო ერთ-ერთი უძველესი სამრეკლოთაგანია საქართველოში. აგებულია ტაძართან ერთად XIV საუკუნის დასაწყისში, 1577 წელს სურციძეებმა, რომელთაც მამის ზარზმა ეკუთვნოდათ, ქვემო სართულის ორმხრივი ღია კედლები ამოაშენეს და იგი ეკლესიად აქციეს. აღმოსავლეთის კედლის წარწერაში მოხსენიებული არიან ფარსმან ხურციძე და აწყურის ეპისკოპოსი სერაპიონ ხურციძე.

ჭულეს წმინდა გიორგის ტაძარი. ოზურგეთელმა მომლოცველებმა ზარზმიდან სოფელ ჭულესში, წმინდა გიორგის ტაძარში გადაინაცვლეს და აქაც აღავლინეს ღოცვა.

ჭულეს წმინდა გიორგის ტაძარი 1311 წელს მოხატა არსენ მხატვარმა. შენობა ძლიერ არის დაზიანებული. გადარჩენილია მხოლოდ გუმბათის ყელი.

დაიღუპა ეკლესიის გარშემო მდებარე მდიდრულად მოჩუქურთმებული სამრეკლო და სხვა ნაგებობები. მხატვრობაში განსაკუთრებით საყურადღებოა სამცხის ათაბაგთა სურათები სამხრეთის კედელზე, შესასვლელის ზემოთ.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. რადგან ტერიტორიულად ახლოს იმყოფებოდნენ, მომ-

დაწვრილებით გაგვაცნეს ობსერვატორიის მუშაობის სპეციფიკა



და იქ მიმდინარე საღვთისო კვლევები

ყოფილ საბჭოთა სივრცეში ამ უნიკალური ობსერვატორიის აბასთუმანში, ყანობილის მთაზე მშენებლობა გადაწყდა 1932 წელს, – ვკითხულობთ ობსერვატორიის ეზოს შესასვლელში განთავსებულ დაფაზე, – 1934 წელს აქ დაიდგა კარლ ცეისის ფირმის 40-სმ-იანი ტელესკოპი. იმავე წელს აბასთუმნის ობსერვატორია აირჩიეს წყნარი ოკეანის ასტროფიზიკური ასოციაციის წევრად. 1936 წელს აქ პირველად ჩამოვიდა უცხოელ ასტროლოგთა ჯგუფი პროფ ბენზელას თაოსნობით. 1942 წლიდან დაიწყო მზის ლაქების ყველანაირი შესწავლა ამავე წელს ასტრონომმა მ. თევზაძემ აღმოაჩინა ორი ახალი კომეტა. ეს იყო ქართველის მიერ შესრულებული პირველი ასტროლოგიური აღმოჩენა. 1954 წელს დაიდგა 70-სმ-იანი მენისკური ტელესკოპი, ამოქმედდა დედამიწის პირველ ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვების სადგური.

1961 წელს ასტროლოგმა რ. კილაძემ პირველმა გაზომა სატურნიის რგოლების სივრცე, 1974

(მე რომ მკითხოთ, სახელწოდება „ლომსია“ უღერადობითაც და შინაარსობრივადაც სჯობია „ახალციხეს“, ავტ.).

ქალაქი სამი ნაწილისაგან შედგებოდა: ქალაქის, ციხე-სიმაგრის და ციტადელებისაგან. ციხე-სიმაგრეს შემოვლებული ჰქონდა სამი გალავანი, შემოგარენს მიწისქვეშა გალავნით უკავშირდებოდა. მის ტერიტორიაზე განლაგებული იყო „საჯის კარი“, საჭურჭლე სახლი“, „ზარდახანა“, „ზარაფხანა“, აბანო, ეკლესიები. XVIII საუკუნის შუა ხანებში ჰასან ახმედ ფაშა ჯაყელმა ააგო ციხის ცენტრში ერ-ერთი მართლმადიდებლური ეკლესიის საძირკველი, მეჩეთი, მედრესე და მინარეთი. მმართველები იყვნენ ჯერ თორელი ახალციხელები, შემდეგ ათაბაგ ჯაყელები. XVIII – XIX საუკუნის დასაწყისში სამცხე ჯავახეთიც და ახალციხეც ტოლერანტობის სიმბოლოდ იქცა. სხვადასხვა დროს ჩამოასახლეს ებრაელები, სომხები, რუსები.

XIX საუკუნის დასაწყისში ქალაქის ძველ ნაწილს ეწოდა რაბათი. 1829 წელს ანდრიანოპოლის ზავით, თურქთა ორასწ-



ლიანი ბატონობისგან განთავისუფლდა ახალციხეც და სამცხე-ჯავახეთიც.

2011-2012 წლებში განახლდა ციხის კომპლექსი.

საფარა, წმინდა საბას

უკუნეში აღადგინა ბაგრატ II ქალიშვილმა სახელად „დედის იმემა“. ამჟამად მიმდინარეობს ტაძრის რესტავრაცია, რომელიც 2022 წლისთვის უნდა დათავრდეს.



ტაძარი.

მწვანე სავანეში მთელი თავისი მშვენიერებით წამოძარბოვნილი XIII-XIV საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთი საუკეთესო ძეგლთაგანი აგებულია სამცხის მფლობელი ბექა მანდატურთუხუცესის ბრძანებით ხუროთმოძღვარ ფარეზის მიერ. საყურადღებოა მდიდარი ჩუქურთმებით, კედლის მხატვრობითა და მრავალრიცხოვანი ისტორიული წარწერებით. ეკლესიის შიგნით, სამხრეთის კედელზე გამოხატული არიან სამცხის მფლობელ ჯაყელთა ოჯახის წევრები, სარგისი, რომელიც ბერად აღიკვეცა საბას სახელით,, მისი ძე ბექა, მანდატურთუხუცესი ეკლესიის მაკეტით ხელში და ბექას შვილები სარგის II და ყურაყურა.

აწყურის ციხე-სიმაგრე. შეგვიბინდა და მხოლოდ თვალი გადავაკვლით აწყურის რესტავრირებულ უნიკალურ ციხეს, რომელიც მტრის შემოსევის დროს ორი საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა გარე სამყაროს.

ოზურგეთელ მომლოცველთა ჯგუფი მესხეთს იმყოფებოდნენ შემდეგი შემადგენლობით: **ლალი ბასილაშვილი, მაია ქადაგიშვილი, ნინო ლომთათიძე, მიხეილ გობრონიძე, დარინა ასათიანი, ნინი წულაძე, მანოლა ვაშალომიძე, თამარ მუჯირი; ანი მუკბანიანი, ნინო ბასილაშვილი, თეონა ჩხაიძე, ფატიმა მათითაივილი (აფხაზეთი), ომარ ბაკურაძე, დათო გორგაძე (მძლოლი), თემურ მარშანიშვილი (ყურნალი-სტი).**

ჯგუფის წევრები აპირებენ



აფყურის მონასტერი.

გვიანტური ტაძარი აგებულია X საუკუნეში. ძლიერი მიწისძვრის შედეგად მონასტერი თითქმის მთლიანად დაინგრა XVI სა-

საქართველოს სხვა კუთხეებში მდებარე ეკლესია-მონასტრებშიც მოილოცონ.

თემურ მარშანიშვილი

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917 წლის ნოემბერი)


1918 წლის 3 მარტის ბრძანებით
ლიტონის საზავო
სამხარეული
პითარება ანიმარკაპასიაში
ბრძანებით
საზავო
სამხარეული
სამხარეული

19 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ გერმანიის ზავის დადების თაობაზე მზადყოფნა შეატყობინა. მიუხედავად ამისა, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარები შეტევას აგრძელებდნენ. გერმანიამ ზავის დადებაზე თანხმობა მხოლოდ 22 თებერვალს განაცხადა და იმავე უფრო მძიმე პირობები წამოაყენა ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე სთავაზობდა საბჭოთა რუსეთს. გერმანია და მისი მოკავშირეები პასუხს 48 საათის განმავლობაში ითხოვდნენ. ბრესტ-ლიტოვსკში სასწრაფოდ გაემგზავრა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია **გრიგორი სოკოლნიკოსის (გიორგი ბრილიანტის)** (1888-1939) ხელმძღვანელობით. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, ბულგარეთმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

ზავის თანახმად რუსეთმა გერმანიის დაუთმო ბალტიისპირეთი და ბელორუსიის ნაწილი, აღიარებული იქნა უკრაინისა და ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საბჭოთა რუსეთი ვალდებული იყო ხელშეკრულება დაელო უკრაინის ცენტრალურ რადასთან და ამავე დროს ეცნო 1918 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) უკრაინის ცენტრალური რადის მიერ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულება.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე ოსმალეთი გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარდაჭერით ითხოვდა 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით სამხრეთ კავკასიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადგენილი საზღვრის გადისინჯვას და გარკვეული ტერიტორიების მიღებას. საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა სამხრეთ კავკასიაშიც დაეთმო ტერიტორიები. ჯერ კიდევ ბრესტ-ლიტოვსკში საზავო ხელშეკრულების გაფორმებამდე, 1918 წლის 2 მარტს საზავო მოლაპარაკებაზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მდივანმა **ლევ კარაზანმა (ლევ კარაზანიანმა)** (1889-1937) თბილისს დაქვეით აცნობა, რომ რუსეთმა კავკასიაში ოსმალეთის პრეტენზიები დააკმაყოფილა და **არტანის, ყარსი** და **ბათუმი** დათმო. 2 მარტსვე ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ **ევგენი გეგეჭკორმა** და ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე **კარლო ჩხეიძემ** მსოფლიო სახელმწიფოების მთავრობებს აცნობა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით სამხრეთ კავკასიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვრების შეცვლა ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის თანხმობის გარეშე მოხდა და რომ საზღვრების საკითხს განიხილავდა ამიერკავკასიისა და ოსმალეთის საზავო კონფერენცია, რომელიც ქალაქ ტრაპიზონში იყო დაინშნული.

1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების **მეოთხე მუხლი** ორი აბზაცისაგან შედგებოდა. **პირველ აბზაცში** აღნიშნული იყო: რუსეთი ყველაფერს იღონებდა იმისათვის, რომ უსწრაფესად დაეტოვებინა აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორია (ოსმალეთის ეს ტერიტორია ზავის დადების დროისათვის რუსეთის ჯარებს ეკავათ - ვ. გ.) და ეს ტერიტორია წესრიგის დაცვით დაებრუნებინა ოსმალეთისათვის. **მეორე აბზაცი** გვაუწყებს: არდაგანის (არტანის), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები ასევე დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა რუსეთის ჯარს. რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ამ ოკრუგების სახელმწიფოებრივი-სამარ-



თლებრივი ორგანიზებისა და საერთაშორისო ურთიერთობის პროცესში. ოკრუგების მოსახლეობას უფლება უნდა მისცემოდა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან, თანხმობით დაემყარებინა ახალი წყობილება. როგორც ვხედავთ ოსმალეთს უშუალოდ არ მიუღია 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადასული ტერიტორია. მართალია ტერმინი ნახსენებ არ ყოფილა, მაგრამ პრაქტიკულად საქმე ეხებოდა რეფერენდუმს, რომლის დროსაც მოსახლეობას უნდა გაერკვია თუ რომელი სახელმწიფოს (ოსმალეთის თუ რუსეთის) შემადგენლობაში სურდა ცხოვრება. ამ პროცესში კი ოსმალეთი ზავის თანახმად გარკვეულ უპირატესობას მიიღებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე აბზაცში იხსენიება **არდაგანის (არტანის), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები**. სინამდვილეში ის ტერიტორია, რომელიც სადავო იყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რუსეთის იმპერიაში და შემდგომც ასეთი ადმინისტრაციული დაყოფით არსებობდა: **1. ბათუმის ოლქი, რომელიც ბათუმისა და ართვინის ოკრუგებისაგან შედგებოდა; 2. ყარსის ოლქი, რომელიც ყარსის, არდაგანის (არტანის) და ყალიზმანის ოკრუგებისაგან შედგებოდა.** ასე, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაში პრაქტიკულად იხსენიებოდა 2 ოლქი (ბათუმისა და ყარსის) და 5 ოკრუგი (ბათუმის, ართვინის, ყარსის, არტანის, ყალიზმანის).

ოსმალეთი დაუყოვნებლივ შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების რეალიზებას. 1918 წლის 25 თებერვალს (10 მარტს) კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალმა **ვეპი მეჰმედ ფერი ფაშამ** კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს გენერალ-მაიორ **ევგენი ლებედინსკის** რადიოდებუთ ყარსის, არტანისა და ბათუმის დაცლა მოსთხოვა. იმავედროულად ვეპი ფაშამ ევგენი ლებედინსკის აცნობა, რომ ოსმალეთის არმია კავკასიის ფრონტზე შეტევას იწყებდა. 1918 წლის 25 თებერვალს (10 მარტს) ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ **კარლო ჩხეიძემ** რადიოდებუთ მიმართა მსოფლიო სახელმწიფოების მთავრობებს, მათ

შორის ოსმალეთის მთავრობას, ასევე კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალს ვეპი ფაშას. რადიოდებუთ ტექსტი გაეგზავნა იმხანად სარიყამიში მყოფ კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ **ილია ოდიშელიძეს**. კარლო ჩხეიძე ოსმალეთის მთავრობისა და ვეპი ფაშასაგან ითხოვდა პასუხს კითხვაზე: ოსმალეთის მიერ ბათუმის, ყარსისა და არტანის რუსეთის ჯარებისაგან დაცლის მოთხოვნა და კავკასიის ფრონტზე შეტევის დაწყება ნიშნავდა თუ არა ოსმალეთის მხრიდან საზავო მოლაპარაკებაზე უარის თქმას, მაშინ როდესაც ამიერკავკასიის დელეგაცია უკვე ქალაქ ტრაპიზონში იმყოფებოდა. იმავე დღეს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ **ევგენი გეგეჭკორმა** დებუთა გაუგზავნა ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარეს **აკაკი ჩხენკელს** და ბრესტ-ლიტოვსკში 1918 წლის 3 მარტს დადებული ხელშეკრულების შესახებ აცნობა. ევგენი გეგეჭკორმა აკაკი ჩხენკელს ისიც აცნობა, რომ კარლო ჩხეიძემ ვეპი ფაშას განმარტება მოსთხოვა: შექმნილ ვითარებაში ოსმალეთი აპირებდა თუ არა საზავო მოლაპარაკების დაწყებას.

ვითარება რთული და მოულოდნელობით აღსავსე იყო. ოსმალეთის არმიის შეტევის შემთხვევაში მისი შემაკავებელი სამხედრო ძალა ამიერკავკასიის კომისარიატს არ გააჩნდა. რუსეთის ჯარის ნარჩენები თავდაცვისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, ხოლო ეროვნული სამხედრო ფორმირებები - მოუმზადებელი. 1918 წლის 26 თებერვალს (11 მარტს) 17 საათსა და 33 წუთზე გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, რომელსაც კარლო ჩხეიძე თავმჯდომარეობდა. სეიმის სხდომაზე ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა განაცხადა: ამიერკავკასიის დელეგაცია ქალაქ ტრაპიზონში 1918 წლის 23 თებერვალს (8 მარტს) საღამოს 8 საათზე ჩავიდა; დელეგაციამ ტრაპიზონში ჩასვლის შესახებ იმავე დღეს დებუთ აცნობა სტამბოლს; დღემდე ტრაპიზონში მყოფ ამიერკავკასიის დელეგაციას სტამბოლიდან არანაირი პასუხი არ მიუღია, სტამბოლიდან კავშირის დამყარება ვერ ხერხდება. ევგენი გეგეჭკორმა აღნიშნა: ასეთ ვითარებაში 1918 წლის 25 თებერვალს (10 მარტს) საღამოს, ვეპი ფაშასაგან ამიერკავკასიის კომისარიატმა მიიღო

დებუთები ბათუმის, ყარსისა და არტანის დაცლისა და ოსმალეთის არმიის შეტევის განახლების შესახებ. ევგენი გეგეჭკორმა სეიმის დელეგატებს გააცნო 1918 წლის 25 თებერვალს (10 მარტს) 22 საათსა და 9 წუთზე ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი დებუთა, რომელიც იუწყებოდა: „ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს: ოსმალეთის დელეგაცია გუშინ სტამბოლიდან გამოვიდა და ტრაპიზონში იქნება ხვალ 26 თებერვალს. უკვე ველოდებით 3 დღეა. როგორ ფიქრობთ თუ ოსმალეთის დელეგაცია არ ჩამოვიდა, კიდევ შეიძლება დაველოთ თუ დავბრუნდეთ უკან“. აკაკი ჩხენკელის დებუთის წაკითხვის შემდეგ ევგენი გეგეჭკორმა სეიმის წევრებს გააცნო სულ ცოტა ხნის წინ მიღებული გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძის დებუთა, რომელიც სარიყამიშიდან 1918 წლის 26 თებერვალს (11 მარტს) იყო გამოგზავნილი. ილია ოდიშელიძე თბილისს აცნობებდა, რომ მან ვეპი ფაშასაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დებუთა, რომელიც დასტურებდა, რომ ოსმალეთის დელეგაცია სტამბოლიდან ტრაპიზონში გაემგზავრა.

სეიმის დელეგატებმა საჭიროდ მიიჩნიეს შექმნილი მდგომარეობის შესახებ კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს გენერალ-მაიორ **ევგენი ლებედინსკის** გამოეთქვა აზრი. გენერალმა განაცხადა: ქალაქ ტრაპიზონსა და მის შემოგარენში ბოლო ორი-სამი დღის განმავლობაში ვითარება შეიცვალა, რუსეთის ჯარმა დატოვა საწყობები სადაც სამხედრო საჭურველისა და სურსათის დიდი მარაგია; ოსმალეთის წინააღმდეგობით შეიქმნა კომისია, რომელმაც საწყობებს მიუჩინა დაცვა, რათა აღკვეთილიყო მარცვა და რუსებს საშუალება მისცემოდათ საბრძოლო საჭურველისა და სურსათის მარაგი გამოეთქვათ; სულ ახლახან გაირკვა, რომ ოსმალები რუსებს საწყობებში აღარ უშვებენ; ტრაპიზონში დისლოცირებული რუსეთის არმიის 37-ე დივიზიის ნაწილების გარდა ქალაქში რუსეთიდან ჩავიდა 42-ე დივიზიის ნაწილი, ეს ჯარები, არსებული ცნობების მიხედვით ბოლშევიკების გავლენას არ განიცდიდნენ და ბრძოლისათვის მზად არიან.

ნოე ჟორდანიამ სეიმის სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა: ჩვენ იმთავითვე ზავის მომხრე ვიყავით, მაგრამ ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიის მიტაცება სასიკვდილო დარტყმა იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით; ბათუმი საქართველოსათვის იგივეა რაც პეტროგრადი რუსეთისათვის და სმირნა ოსმალეთისათვის; უნდა მივალწიოთ იმას, რომ ოსმალეთთან საპატიო ზავი დავლოთ; ჩვენ გესურს ოსმალეთთან, ირანთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობა და მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ დავიცვათ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები და ხელი მოვაწეროთ სამარცხვინო ზავს.

ცხარე პოლემიკის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა კენჭი უყარა და ერთხმად დაამტკიცა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ოსმალეთთან საპატიო ზავის დადებას ითვალისწინებდა და დაუშვებლად მიიჩნედა ბათუმის, ყარსისა და არტანის დათმობას. სეიმის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობა ტრაპიზონში აკაკი ჩხენკელს.

(გაბრიელა იმნა)
პასტანა გურული
საქართველო სრულუფლებანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, (1918)გვ. 123-128

ნანა ფაჩუაშვილი: „ჩვენ, მსახიობებს რა გვინდა? ის, რომ ვუყვარდეთ მაყურებელს.“



27 ივლისს, ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის პროგრამის ფეიცი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში მანანა დოიაშვილის სპექტაკლი „სამს პლუს სამი“, (რეჟისორი ვანო ხუციშვილი), თეატრმცოდნეობა და ფესტივალის წარმომადგენლებმა ნახეს. პარალელურად, ეს იყო 153-ე თეატრალური სეზონის დასურვა.

გთავაზობთ რამდენიმე კომენტარს:

ნანა ფაჩუაშვილი, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი: – შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ეროვნული, დიდი საქმე გაკეთდა. ძალიან ბევრ, მნიშვნელოვან ქვეყანასაც კი ნაკლებად აქვს ისეთი თეატრი, როგორც ოზურგეთშია. მე ვარ ათონელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მინდა რომ ერთი სპექტაკლი ჩამოვიტანოთ და ვაჩუქოთ ამ თეატრს, საჩუქარი გავუკეთოთ მაყურებელს, პრეზენტაცია მინდა გავაკეთოთ. ასეთი პროექტები ნამდვილად ესაჭიროება რეგიონალურ თეატრებს, რომ მაყურებელი გავაზაროთ და გავათბოთ და ჩვენც გავითბოთ სულელები. ეს ხომ ურთიერთგაგებით, ურთიერთსიყვარულით კეთდება. ჩვენ, მსახიობებს რა

გვინდა? ის, რომ ვუყვარდეთ მაყურებელს. მაყურებლებს უნდათ რომ მსახიობებმა იგრძნონ და შეიყვარონ. ასე რომ შეხვედრამდე!

ნინელი ჭანკვიტაძე, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი: – როცა პროგრამას ვადგენდი, ყველა სიხარულით დავგვიანებდა, ვინც უკვე იყო თქვენი თეატრის ვახსნაზე და ისინიც ვისაც არ ჰქონდა ეს შერობა ნანახი. დიდი სიხარულით მოვემართებოდით, მითუმეტეს, რომ თქვენს თეატრში სიხალეა, პრემიერაა. რასაკვირველია ამას ვერ გამოტოვებდა ფესტივალი. დღეს თქვენთან ვართ სტუმრად, ბედნიერები. მართალია ძალიან მძიმე სპექტაკლი ვნახეთ სიუჟეტურად, საკმაოდ ფსიქოლოგიური, რთული სპექტაკლი იყო. ყველა ალტაცებულია რეჟისურით, მსახიობების თამაშით. არაჩვეულებრივი მსახიობის თამარ მდინარაძის თამაშს გამოყოფდი ნამდვილად.

ფესტივალი გრძელდება. უკვე ოზურგეთის თეატრის მსახიობებს ველოდებით ფესტივალის დასურვას. 31 ივლისს, ფოთში. აღნიშნულ ფესტივალს ყოველ წელს ვატარებთ.

ოზურგეთის თეატრი ყოველთვის აქტიურია, ყოველთვის მონაწილეობს ფესტივალში. წელს შეუძლებელი იყო არ მიეღო მონაწილეობა. გილოცავთ სეზონის ბრწყინვალედ, არაჩვეულებრივ გარემოში დასურვას. განსაკუთრებულად ვულოცავ ბატონ ვასილ ჩიგოგიძეს. ყველამ ერთად აღვნიშნეთ, რომ ასეთი აქტიური, მზუნველი, თავდავიწყებით შეყვარებულია თეატრზე. მიხარია, რომ სწორედ მას გამოუვიდა და ყველაფერი დასრულდა ასე წარმატებით, ასე დიდებულად. ვუსურვებ გამძლეობას, მოთმინებას, იმიტომ, რომ რაც ჩვენ ვნახეთ, ამაში დიდი შრომაა ჩადებული. მარტო ამ თეატრის შენახვაც კი რთული იქნება. მე ვიცი ამ თვეებში რა გააკეთა მან, როგორ იღვწის, როგორ თვითნებს, სხვადასხვა სივრცეებში ამ თეატრში და როგორ ტვირთავს მათ. ალტაცებული დავარჩი რომ რადიოსტუდია გაქვთ და შეგიძლიათ ახალი ნიშნა დაიკავოთ ამ თვალსაზრისით რეგიონში.

დოდო ხურცილაძე, თეატრმცოდნე: – მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, დაკეტვა და ა.შ. თეატრი მუშაობს. ამ ერთი წლის მანძილზე, ნაცვლად იმისა, რომ ეწუწუნათ, დაიწყეს მუშაობა. გადაწყვიტეს ეცხოვრათ ისე, როგორც მხოლოდ მსახიობს შეუძლია ცხოვრება. ეს გამოავლინა ფესტივალმა. ასევე გამოავლინა ახალგაზრდა რეჟისორები. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ივანე ხუციშვილს, რომელმაც უკვე მეორე სპექტაკლი გვაჩვენა ფესტივალის ფარგლებში. უნდა ვთქვა, რომ ის სწრაფად იზრდება. უკვე ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ლიდერ რეჟისორად, ჩემი აზრით ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ფესტივალმა ასევე აჩვენა, რომ ძალიან გაიზარდნენ მსახიობები. შეიძლება ვთქვათ, რომ ათი კაციდან 6-7 არის შესანიშნავი

რანგის მსახიობი. ერთ-ერთი მათგანი რა თქმა უნდა გამოჩნეულია – **თამარ მდინარაძე**, რომელმაც დღეს ძალიან რთული როლი შეასრულა. მან გვაჩვენა, რა ხდება ადამიანის სულში, როცა იგი ვერ ახერხებს თავისი გრძნობების, ვნებების, სიყვარულის თუ სიძულვილის ბოლომდე გამოვლინებას. როგორ მახინჯდება ადამიანი არაფიზიკურად, არამედ მორალურად, როცა მასში არ არის რაღაც მშვენიერი, დიადი, ადამიანური. რაღაც მოხდა ამ ადამიანში ისეთი, რამაც შვილიც კი შეაძულა. ეს სიძულვილი გამოვლინდა სწორედ ამ ნერვიულ სტრესში. უნდა ვთქვა, რომ ასეთ რთულ სცენას, ასეთ რთულ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი ქალბატონმა თამარმა. დანარჩენი მსახიობები მას უბამდნენ მხარს ამაში. მათი შესრულებული როლები თამარს აძლევდა ყველა საშუალებას. შეუძლებელია ლაღად ითამაშოთ უპარტნიოდ, რომლებიც, შენთან ერთად არ არიან. ვულოცავ თქვენს თეატრს ამ ღირშესანიშნავ სპექტაკლს. იმედი მაქვს კარგი შეფასება ექნება ჩვენს ფესტივალზე და შემდეგაც. იმედი მაქვს მაყურებელი ივლისს ამ სპექტაკლზე, ამაში დარწმუნებული ვარ.



დათო ლიპლიკაძე, ჟურნალისტი, მსახიობი: – ის რაც ოზურგეთის თეატრში ვიხილე, ევროპის ნებისმიერი ქალაქის სცენას შეშურდებოდა.

დავესწარი ახალგაზრდა რეჟისორ ივანე (ვანო) ხუციშვილის სპექტაკლს „3+3“, რომელიც ასევე ნიჭიერი ქალის, მანანა დოიაშვილის მიერ არის დაწერილი. ვანოს შემოქმედებას დიდი ხანია ვიცნობ და არ დავიშალავთ, მოვეშადე სრული კულტურული შოკისთვის, მაგრამ ნანახმა ათასჯერ გადააჭარბა მოლოდინს. ვიხილე სიყვარულის, სიძულვილისა და ადამიანური ყოფის თანაგანცდის საათნახვერიანი აქცია. ვუყურე სპექტაკლს და ჯერ პერსონაჟები შემეცოდნენ, მერე საკუთარი თავი და ბოლოს ზოგადად ყველა. სპექტაკლი, რომელიც ხან ტკივილმდებ ადამიანურია, ხან სოლიდარობის წინააღმდეგ მიმართული აქტია, ამკარად შედევრია. სცენოგრაფია და მუსიკა ისეთია, არა რსებობს დაგტოვოს გულგრილი. ასეთი ამბები ხუციშვილის სპექტაკლებს, როგორც წესი ტრადიციად ექცა. მაგრამ უსამართლობა იქნება არ დავინახოთ ოზურგეთის თეატრის დასი, ეს უნიჭიერესი ხალხი.

მოამზადა **მარი კომოვივა**



**ქართველი
პიულოისტების
საუკეთესო
შედეგი
ოლიმპიადების
ისტორიაში
ერთი ოქრო,
სამი ვერცხლი**



განცხადება
შპს „ვასაძის პური“ აცხადებს ვაკანსიებს

1. ელექტრიკოსი;
2. ცვლის უფროსი;
3. ცომის მზელავი;
4. ცომის დამწვობი;
5. პურის მცხობელი;
6. დამზმარე მუშა;
7. პურის შემფუთავ დანადგართან მომუშავე.

შრომის ანაზღაურება გამომუშავების მიხედვით.
დაგვიკავშირდით: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №1; მობ. 599 11 25 72

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბაული +19/+26	მზა, ღრუბაული +20/+27	მზა, ღრუბაული +19/+28	მზა, ღრუბაული +18/+25	მცირე წვიმა +19/+27	მზა, +19/+28	მზა +18/+28
2 აგვისტო ორშაბათი	3 აგვისტო სამშაბათი	4 აგვისტო ოთხშაბათი	5 აგვისტო ხუთშაბათი	6 აგვისტო პარასკევი	7 აგვისტო შაბათი	8 აგვისტო კვირა